

ყოველწლიური ღონისძიებები

მთელი წლის სეზონური დღესასწაულები

ახალი წელი

შიოგაცუ (ახალი წელი)



კადომაცუ
კადომაცუ არის ფიჭვისა და ზამბუკის ღეროებისაგან შექმნილი საახალწლო დეკორაცია. ის განთავსებულია საცხოვრებელი სახლების შესასვლელების ორივე მხარეს.

ტრადიციულად, საახალწლო დღესასწაულის დროს, რომელიც ცნობილია როგორც *შიოგაცუ*, ხალხი მადლობას სწირავდა მოსავლიანობის მფარველ ღმერთებს (*კამი*) და უხმობდა გარდაცვლილი წინაპრების სულებს, რომლებიც იცავდნენ მათ ოჯახებს. ღმერთებისა და სულების დასახვედრად *კადომაცუსა* (საცხოვრებელი სახლების შესასვლელების ორივე მხარის გაფორმება ფიჭვის ტოტებისა და ზამბუკების დეკორაციებით) და *შიმე-კაძარის* (ჩალის თოკის დეკორაციებით გაფორმება) ჩვეულებებს მიმართავდნენ. ყოველი წლის დასაწყისისთვის ხალხი მადლიერებას გამოხატავდა ღმერთებისა და წინაპრების სულების მიმართ და ლოცულობდა დამდეგი წლის უხვი მოსავლისთვის. ამრიგად, იაპონელი ხალხისთვის ახალი წლის დღესასწაული უმნიშვნელოვანესი იყო და არის სხვა დანარჩენ დღესასწაულებთან შედარებით. მათი უმრავლესობა ამ დროს ახალი წლისთვის სამომავლო გეგმებს ადგენს და ახალ გადაწყვეტილებებს იღებს.

ნენგაჯიო (საახალწლო ბარათები)

საახალწლო დღესასწაულის განმავლობაში ხალხი ნათესავებისგან, მეგობრებისაგან და ნაცნობებისაგან იღებს მისალოც ბარათებს, რომელიც ცნობილია *ნენგაჯიოს* სახელით. 2014 წელს გაგზავნილი *ნენგაჯიოს* რაოდენობა დაახლოებით 1,829 მილიარდს აღწევს.



ჰაცუმოდე (წლის პირველი ვიზიტი სალოცავებსა და ტაძრებში)

საახალწლო დღესასწაულის დროს ოჯახები და მეგობრები ერთად ესტუმრებიან თავდაპირველად შინტოისტურ სალოცავებსა და ბუდისტურ ტაძრებს.



ჰაცუმოდე
საახალწლო დღესასწაულის დროს, იაპონელები თავდაპირველად ესტუმრებიან შინტოისტურ სალოცავებსა და ბუდისტურ ტაძრებს.

ეს პროცესი ცნობილია, როგორც *ჰაცუმოდე*. შინტოისტური სალოცავების შემთხვევაში, ტრადიციულად, მოსახლეობა მათ საცხოვრებლთან ახლოს მდებარე ტაძარში მიემართებოდა. ასეთი ვიზიტები მიზნად ისახავდა მოლოცვის ცერემონიის ჩატარებას, რათა იაპონელებს ჰქონოდათ უხვი მოსავლი და ოჯახური კეთილდღეობა მთელი წლის მანძილზე.

ტოკიოს მეიჯი ჯინგუს სალოცავს უამრავი ასეთი *ჰაცუმოდე* მომლოცველი (3,16 მილიონი 2014 წელს) უნახავს. მომლოცველთა რაოდენობის სიდიდით მას თანმიმდევრულად მოსდევს ჩიბას პრეფექტურის კავასაკი დაიშის ტაძარი (3.02 მილიონი 2014 წელს) და კანაგავას პრეფექტურის ნარიტასან შინშიოჯი-ს ტაძარი (3 მილიონი 2014 წელს).

ოტოშიდამა (ფულადი საჩუქარი ბავშვებისთვის)



ოტოშიდამა
საახალწლო ფულადი საჩუქარი ბავშვებისათვის

საახალწლო დღესასწაულებზე, ბავშვები მშობლებისაგან და ნათესავებისგან იღებენ განსაკუთრებულ საჩუქარს, სახარჯო ფულს (*ოტოშიდამა*). ამდენად, ბავშვებს განსაკუთრებული მიზეზი აქვთ, რომ მოუთმენლად უცდიდნენ ახალი წლის დღესასწაულის დადგომას. ჯუნიორთა უმაღლესი და ზოგადი უმაღლესი სკოლების მოსწავლეებისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საჩუქრად 5,000 ან 10,000 იენის მიღება. მთელი *ოტოშიდამას* ჯამმა შეიძლება რამდენიმე ათეული ათასი იენი შეადგინოს.

საახალწლო თამაშები

უძველესი დროიდან ბავშვები მონაწილეობას იღებდნენ ეზოში გართობის ისეთ განსაკუთრებულ საახალწლო სახეობებში, როგორცაა ფრანების გაშვება და ჩიკორი (განსაკუთრებით ბიჭებისათვის) და ბადმინტონის მსგავსი თამაშები გოგონებისათვის, რასაც *ჰანეცუკი* ეწოდებოდა. სახლის საახალწლო გასართობ თამაშებად მიჩნეული იყო უტა *კარუტა* ანუ კარტით თამაში, რომელიც ამოწმებდა მონაწილეების *ჰიაკუნინ იშშიუდან* („ასი პოეტის ასი ლექსი“) ლექსების გამოცნობის სისწრაფეს და მაგიდის თამაში, რომელსაც ერქვა *სუგუროკუ*,

რომელიც ნარდის ერთგავრ სახეობას წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ბავშვები გარემოცულნი არიან უამრავი განსხვავებული გასართობი საშუალებით და შესაბამისად, ზემოხსენებულმა საახალწლო თამაშებმა დაკარგა უწინდელი პოპულარობა.

გაზაფხული

სეცუბუნი



სეცუბუნი
„ჭირი იქა, ლხინი აქა“

1873 წლამდე, თვეების ნუმერაციით არსებული მთვარის კალენდარი 1,5 თვით უკან იყო ვიდრე თანამედროვე მზის კალენდარი. გაზაფხულის (*რიშშიუნ ან სეცუბუნი*) მოსვლა აღინიშნებოდა მეორე თვის მესამე ან მეოთხე დღიდან. 3 ან 4 თებერვალს *სეცუბუნის* აღნიშვნის ტრადიცია დღესაცაა შემორჩენილი იაპონიაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი ზამთრის ყველაზე ცივ პერიოდს ემთხვევა. ამ ცივ სეზონზე იყო სახლის კარებისა და ფანჯრების გაღების რიტუალი, რომლის დროსაც, ცუდ იღბალსა და ბოროტ დემონებს განდევნიდნენ სახლიდან მარცვლეულის სროლით და სიტყვების - „*ფუკუ ვა უჩი, ონი ვა სოტო*“ („იღბალი შიგნით და დემონები გარეთ“) - წარმოთქმით, რაც ქართულ „ჭირი იქა, ლხინი აქა“ შესატყვისადაც გამოდგება. ამბობენ, რომ თუ ადამიანი ამ დღეს შეჭამდა თავისი ასაკის ექვივალენტური რაოდენობის სოპის მარცვლებს, ჯანმრთელობას შეინარჩუნებდა. სინამდვილეში კი ეს საიმპერატორო კარის წესჩვეულება, რომელიც მთვარის კალენდრის ბოლო დღეს იმართებოდა, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ბოროტი სულების, ზამთრის სიცივისა და სიბნელის განდევნისა და ახალი, ნათელი და მხიარული გაზაფხულის შეგებების სიმბოლიზაციასთან.

ჰინა მაცური (თოჯინების ფესტივალი)

ჰინა მაცური აღინიშნება 3 მარტს, გაზაფხულზე. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, როდესაც საზოგადოება ლოცულობს ახალგაზრდა გოგონების ბედნიერებისა და ჯანსაღად გაზრდისთვის. ამ დღეს ოჯახები მართავენ თოჯინების ფესტივალს, თოჯინებს აცმევენ ტრადიციულ კარის სამოსს და გამოფენენ მათ ატმის ყვავილებთან და ისეთ დელიკატესებთან ერთად, როგორცაა თეთრი საკე, აღმასის ფორმის ბრინჯის ნამცხვრები (*ჰიშიმოჩი*) და მშრალი ბრინჯის მარცვლების ტორტი (*არარე*).

ჰინა მაცურის ჩვეულება რიტუალური განწმენდის შესახებ არსებული უმველესი რწმენიდან მომდინარეობს. ერთ დროს ხალხს სჯეროდა, რომ ადამიანი შეიძლება მის დანაშაულებათა და ბიწიერებათაგან განწმენდილიყო ნაკადულების პირას ჩატარებული რიტუალების



ჰინას (იაპონური თოჯინა) საგამოფენო თარო მარტის დასაწყისში გამოიფინება იაპონური თოჯინები, აქსესუარები და ატმის აყვავებული ტოტები.

მეშვეობით. მოგვიანებით, ქალაქისაგან დამზადებულ თოჯინებს იყენებდნენ ამ რიტუალისთვის და ედოს პერიოდის (1600-1868 წწ.) შემდეგ შეიქმნა ისეთი თოჯინები, რომელიც დღეს ცნობილია ჰინა ნინგიოს სახელით.

ჰარუ ნო ჰიგან (გაზაფხულის ბუნიობის დღე)

ჰარუ ნო ჰიგან ან გაზაფხულის ჰიგანი ტრადიციული წესჩვეულებით ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობის შვიდდღიან პერიოდს, რომელიც იწყება დაახლოებით 21 მარტს. ამ დროს, ხალხი მიდის ოჯახურ სასაფლაოზე, რათა პატივი მიაგოს წინაპართა სულებს და სთხოვენ ბუდისტ მღვდლებს ადასრულონ სუტრას წაკითხვა მათ საპატივსაცემოდ. ანალოგიური წესის დაცვით ტარდება აკი ნო ჰიგანი ან შემოდგომის ჰიგანი, რომელიც ემთხვევა შემოდგომის ბუნიობის შვიდდღიან პერიოდს, რომელიც დაახლოებით 23 სექტემბერს იწყება.

ჰანამი (აყვავებული ალუბლების ცქერით ტკბობა)



ჰანამი
მხიარული წვეულება
თეთრად გადაპენტილი
ალუბლების ქვეშ

მარტის დასასრულსა და აპრილის დასაწყისში, როცა მთელ იაპონიაში ალუბლები აყვავდება, რაც სიმბოლურად ამ სახელმწიფოში აღქმულია ქვეყნის აღორძინების დასაწყისად, იაპონელი ხალხი მხიარულად ერთობა ჰანამის (ყვავილების ცქერით ტკბობა) პიკნიკებზე, რომელიც იმართება მოყვავილე ალუბლის ხეების ქვეშ. გაზაფხულის ხეთა ყვავილების ქვეშ გამართული პიკნიკები ფართოდ იყო გავრცელებული უბრალო ხალხში ედოს პერიოდად.

ოქროს კვირა

აპრილი შესაძლოა ძალიან რთული პერიოდი იყოს მოსწავლეებისთვის, რომლებიც ახალ სასწავლო წელს იწყებენ. ასევე, კომპანიის ახალი თანამშრომლებისთვის, რომლებიც თავდაპირველად დგამენ საქმიან ნაბიჯებს სწორედ ამ თვეში, რომელიც ემთხვევა იაპონიის ფისკალური წლის დასაწყისს. თუმცა ხალხის დიდი ნაწილი სწორედ აპრილის ბოლოს იღებს დასვენების დღეებს ერთი კვირიდან ათი დღის ვადით, რადგანაც ეს პერიოდი სავსეა ეროვნული დღესასწაულებით: შიოვას დღე 29 აპრილს, კონსტიტუციის დღე 3 მაისს, გამწვანების დღე 4 მაისს და ბავშვთა დღე 5 მაისს. ამ პერიოდს ოქროს კვირას უწოდებენ. ამ დროს ამინდი თბილი და ექსკურსიებისთვის შესაფერისია და იაპონიის ტურისტული ადგილები თავს იწონებენ აუარებელი მნახველით. ოქროს კვირა ასევე ცნობილია საცობებით, გადაჭედული მატარებლებითა და აეროპორტებით.

ბავშვების დღე



ჭანარის ალმები

ბოძზე დამაგრებული ჭანარის ფორმის ალმები, რომელიც შექმნილია ბავშვთა დღის აღსანიშნავად

მეხუთე თვე განიხილებოდა, როგორც ცუდი თვე და ამ თვის მეხუთე დღე ითვლებოდა განსაკუთრებით არასახარბიელო დღედ. *ტანგო ნო სეკუ* თავპირველად აღინიშნა, როგორც ბიწისაგან რიტუალური განწმენდის ყოველწლიური წეს-ჩვეულება. ამ დღეს იმართება საყოველთაო ბანაობა ცხელ წყალში, რომელშიც ჩაყრილია ზამბახის ფოთლები. ტრადიციისამებრ, ფიქრობენ, რომ ასეთი ფოთლები არა მარტო სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა, არამედ მათ ავი სულების განდევნაც შეუძლიათ.

ბავშვების დღე, რომელიც აღინიშნებოდა ოქროს კვირაში, 5 მაისს, ცნობილია, როგორც *ტანგო ნო სეკუ* ანუ ბიჭების დღე. ეს დღე გათვალისწინებული იყო ლოცვისთვის ახალგაზრდა ბიჭების ჯანსაღად გაზრდისა და მათი მომავალი კარიერული წარმატებისთვის. ამ დღის ტრადიციულ დეკორაციებს შეადგენდა ჭანარის ფორმის ფრანები, რომელიც დამაგრებული იყო ბოძებზე (*კონობორი*) და მეომრების სამოსში გამოწყობილი თოჯინები ანუ (*მუშანიგო*). ხოლო სპეციალური დელიკატესი იყო ბრინჯის პილმენი გახვეული ბამბუკის ფოთლებში (*ჩიმაკი*) და ბრინჯის ნამცხვრები გახვეული მუხის ფოთლებში (*კაშივამოჩი*). უძველეს დროში

ზაფხული

ტანაბატა



ტანაბატა

7 ივლისს ხალხი ვიწრო ქალაღის ფურცლებზე საკუთარ სურვილებს წერს და ბამბუკის ხის ტოტებზე კიდებს ტანაბატას ფესტივალისთვის.

პირველი წლიური ზაფხულის ღონისძიება, რომელიც ცნობილია როგორც *ტანაბატა*, იმართება 7 ივლისს. ეს არის დღე, რომელიც აღნიშნავს რომანტიკულ ამბავს, რომელიც თავდაპირველად იაპონიის იმპერიულმა კარმა შემოიღო ჩინეთიდან და კორეიდან და შემდეგ მოიპოვა პოპულარობა უბრალო ხალხს შორის. ეს ამბავი ეძღვნება ირმის ნახტომის გასწვრივ წელიწადში ერთხელ შეყვარებული წყვილის, მწყემსისა (*კიკობოში*) და მქსოველი პრინცესას (*ორიჰიმე*) სახელით ცნობილი ორი ვარსკვლავის შეხვედრას. ხალხს სჯეროდა, რომ ამ დღეს ჩაფიქრებული სურვილები, აუცილებლად ასრულდებოდა. ისინი ბაღებსა და სხვა ადგილებში ფოთლოვან ბამბუკის ღეროებს დგამდნენ და მის ტოტებზე ჰკიდებდნენ ქალაღის წვრილ ზოლებზე დაწერილ საკუთარ სურვილებს.

დღეს *ტანაბატას* ფესტივალი აღინიშნება იაპონიის უამრავ ადგილას, მათ შორის ყველაზე ცნობილი ფესტივალები იმართება: კიტანო ტენმანგუს სალოცავთან, კიოტო; კონპირას სალოცავთან, კაგავას პრეფექტურა; ჰირაცუკას ქალაქებში, კანაგავას პრეფექტურა და

ტაკაოკაში ტოიამას პრეფექტურაში. ასევე სახელგანთქმულია სენდაი ტანაბატას ფესტივალი მიაგის პრეფექტურაში. ეს უკანასკნელი იმართება ერთი თვის მოგვიანებით, 7 აგვისტოს და დაახლოებით ემთხვევა იმ დროს, როდესაც ტანაბატა აღინიშნებოდა ადრეული მთვარის კალენდარით.

ფოიერვერკი



ფოიერვერკი

მთელს იაპონიაში, ზაფხულის დამის ცა ნათდება მრავალფერიანი ფოიერვერკებით, რამდენადაც სხვადასხვა ადგილებში ეწყობა მათი საჩვენებელი მოწყობა (*ჰანაბი ტაიკაი*). იაპონიის ფოიერვერკი თაობიდან თაობას გადაეცემა ედოს პერიოდიდან მოყოლებული და დღეს მისი ტექნოლოგია აღიარებულია მსოფლიოში, როგორც საუკეთესო. თანამედროვე ფოიერვერკები ხშირად კომპიუტერულად კონტროლდება, რათა გააუმჯობესონ ჩვენების სიზუსტე თვალისმომჭერელი ვიზუალური ეფექტებით. ტოკიოში მდინარე სუმიდასთან მოწყობილი ფოიერვერკები ყველაზე ცნობილი იყო იმ ყოველწლიური ღონისძიებებიდან, რომელიც ედოს პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ქვეყანაში ჩატარებულა.

ბონი

ბონი ან *ობონი* ყოველწლიური რიტუალური დღესასწაულია წინაპართა სულების სანუგეშებლად გამართული. რადგან ფიქრობენ, რომ წლის ამ დროს წინაპრების სულები თავიანთ ოჯახებს ეწვევიან ხოლმე. ეს მოვლენა ტრადიციულად აღინიშნებოდა მთვარის კალენდრის მეშვიდე თვის შუა პერიოდში; დღეს აღინიშნება 13-15 ივლისს, ზოგ რეგიონში კი - 13-15 აგვისტოს.

13 ივლისს, წინაპართა სულების შესაგებებებელ ცეცხლს ანუ *მუკაების* ანთებენ. შემდეგ, 16 ივლისს ინთება გაცილების ცეცხლი ანუ *ოკურიბი*, რადგანაც მიიჩნევენ, რომ ამ დღეს წინაპართა სულები სულთა სამყაროს უბრუნდებიან.

ბონის სადღესასწაულო დღეების განმავლობაში ბევრი კომპანია და სავაჭრო ცენტრი იხურება, რადგან მათგან დასაქმებული პირების დიდ ნაწილს უწევს თავიანთ მშობლიურ ქალაქებში ოჯახებთან ერთად დაბრუნება და ამ დროს სატრანსპორტო საშუალებები, ოქროს კვირის მსგავსად, ძალიან გადატვირთულია.

შემოდგომა

ცუკიმი (სავსე მთვარის ცქერით ტკობა)



ცუკიმი

ყოველწლიურად ცუკიმიზე ანუ სავსე მთვარის ნახვის დღესასწაულზე, მთვარის ცქერის სიამოვნებასთან ერთად, ხალხი ამზადებდა ცომში ამოვლებულ ტკბილეულს, დანგოს და სახლებს რთავდა სუსუკით.

მთვარის კალენდარის მიხედვით, სავსე მთვარე, რომელიც მეცხრე თვის შუა რიცხვებში გამოჩნდებოდა, იწოდებოდა, როგორც შუა შემოდგომის მთვარე ანუ *ჩიუშიუ ნო მიეგეცუ*. ამასთან დაკავშირებით ეწყობოდა სახალხო წვეულებები, რათა დამტკბარიყვნენ მთვარის განსაკუთრებული სილამაზით. ამ დღესასწაულს თავდაპირველად ადგილი ჰქონდა მხოლოდ ჩინეთში. მან იაპონიაში გავრცელება ჰპოვა მხოლოდ ჰეიანის პერიოდში (794-1185 წწ.). სახლები ირთებოდა სპეციალური დეკორატიული ბალახებით (*სუსუკის* ბალახი), აკეთებდნენ ცომში ამოვლებულ ტკბილეულს, რომელსაც სთავაზობდნენ მთვარეს შემოდგომაზე მოწეული მარცვლეული კულტურების მოსავალის ნაყოფთან ერთად.

შიჩი-გო-სანი

15 ნოემბერი არის დღე, როცა იაპონელები მიდიან შინტოისტურ სალოცავში და თან მიჰყავთ სამიდან ხუთ წლამდე ასაკის ბიჭები და სამიდან შვიდ წლამდე ასაკის გოგონები, რათა ილოცონ მათი კარგად აღზრდის, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის. ტრადიციულად, ბიჭებს ამ დროს აცვიათ *ჰაორი* (იაპონური ნახევრად ქურთუკები) და *ჰაკამა* (გაყოფილი ქვედაბოლოები), გოგონები კი იმოსებიან *კიმონოთი*. თანამედროვე იაპონიაში ამ ღონისძიებაზე დამსწრე ბავშვებს ძირითადად იხილავთ ჩვეულებრივ კოსტიუმებსა და კაბებში გამოწყობილებს. ამ დღეს მშობლები სალოცავში ყიდულობენ სპეციალურ ტკბილეულს, რომელსაც უწოდებენ ჩიტოსე-ამეს და რომელიც მათ გადასცემს ხანგრძლივ სიცოცხლეს. სახლში კი მიიერთმევენ წითელ ლობიოსთან ერთად მოხარშულ ბრინჯს (*სეკიჰან*) და მთლიანად, თავიდან კუდამდე მომზადებულ ზღვის კაპარჭინას (*ოკაშირაცუკი ნო ტაი*).

ზამთარი

ბონენკაი (წვეულებები წლის ბოლოს)

დეკემბრის დადგომის შემდეგ, წლის მიწურულისთვის, იაპონიაში ბევრი წვეულება ანუ ბონენკაი ეწყობა ბარებსა და რესტორნებში. ამგვარი ღონისძიებები იმართება ხალხის მიერ წლის მანძილზე გაწეული მძიმე შრომის სათანადოდ დასაფასებლად და იმ მიზნით, რომ ყველა კარგად გაერთოს და დაავიწყდეთ პრობლემები. ამ დროს ყველა სოციალური თუ ასაკობრივი ფენის წარმომადგენელი, სტუდენტი თუ კომპანიაში დასაქმებული პირი, დაკავებულია ერთობლივი წვეულების მოწყობით. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი წვეულების ხარჯებს თავად მონაწილეები ფარავენ, მაგრამ ხდება ისეც, როცა კომპანიები ბონენკაის მოწყობას თავად უზრუნველყოფენ თანამშრომლებისთვის.

ქრისტიანობის დღესასწაული

იაპონიაში შობა პოპულარული გახდა როგორც სეზონური დღესასწაული, მიუხედავად იმისა არიან თუ არა იაპონელები ქრისტიანები, მათ მოსწონთ საშობაო ნაძვის ხის მორთვა, მიირთმევენ საშობაო ნაძვხვარსა და ერთმანეთს ჩუქნიან საშობაო საჩუქრებს. ეს დღესასწაული განსაკუთრებით ამაღელვებელია ბავშვებისთვის, რომელთაც სჯერათ, რომ შობის ღამეს, სანამ მათ სძინავთ, სანტა კლაუსი საჩუქრებს ჩამოურიგებთ.

ახალი წლის ღამე



ახალი წლის ღამის ზარები

ქრისტიანობისა და ბონენკაის დღესასწაულების ჩავლის შემდეგ დგება 31 დეკემბერიც. მას იაპონელები *ომისოკას* ეძახიან. ზუსტად შუა ღამის წინ ყველა ბუდისტურ ტაძარში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთად იწყება ზარების რეკვა, რათა ხალხს ამცნონ ახალი წლის მობრძანება *ჯიოია ნო კანეს* წესჩვეულებით. ზარებს 108-ჯერ ჩამოჰკრავენ, რაც 108 მიწიერი სურვილისგან ანუ ბონნოსგან განწმენდის სიმბოლიზაციას წარმოადგენს. ამის შემდეგ შემოდის ახალი წლის დღესასწაული - *შიოგაცუ*.